# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №34

2017წ. "21" 09

ქ.თბილისი

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ოპიზარისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №30 და სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ოპიზარისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №21 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეიცვალოს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ოპიზარისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №30 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ოპიზარს" (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | თმის სტილისტი | მესამე | თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 77 | 92 | ქართული | 42 | ქ. ახალციხე, რუსთაველის № 106 |
| 2 | ელექტროობა | მესამე | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში | 52 | 67 | ქართული | 30 | ქ. ახალციხე, რუსთაველის № 106 |
| 3 | სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი | მესამე | სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 92 | 107 | ქართული | 26 | ქ. ახალციხე, რუსთაველის № 106 |

შეიცვალოს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ოპიზარისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №21 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ოპიზარს" (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბუღალტრული აღრიცხვა | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში | 99 | 129 | ქართული | 60 | ქ. ახალციხე, რუსთაველის № 106 |
| 2 | მეცხოველეობა (მესაქონლეობა) (დუალური) | მეოთხე | მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეცხოველეობაში | საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხულთათვის - 90 | საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხულთათვის - 120 | ქართული | 24 | ქ. ახალციხე, რუსთაველის № 106 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | (მესაქონლეობაში) | სრული ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხულთათვის - 48 | სრული ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხულთათვის - 78 | | | |
| 3 | ინფორმაციის ტექნოლოგია | მესამე | მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში | 60 | 75 | ქართული | 60 | ქ. ახალციხე, რუსთაველის № 106 |

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №8 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ეკატერინე ნარეშელაშვილი